



F 3325
2

222

3.325

2



საქართველო
სიმამკინებები

ძეგლი მიმღებულებას მოუდგრიშეს უნდა მისა დაზიანდეს
ამავე დროისა და 1920 წლის მარტის დასახურის დროის მიზანზე


სემსროველოს

ეკლესიის მართვა-გამგეობა.

1920წ.



Ոծելութեա ժանամիալ Սայարտացքով Սայատալոյութու Սածըու
1920 թվու օցուսու 20 № 262, յանհինյեծուսա.



281.97
საქართველო
სიმამკინობა



საქართველოს

ისტორიის მართვა-გამგეობა.

F 3.325
2



იბეჭდება თანახმად სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს
1920 წლის ივლისის 20 № 262, განჩინებისა.

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა.

დ ებულებანი, მიღებული სრულიად საქართველოს 1920 წლის
საეკლესიო კრების მიერ).

§ 1. მართვა-გამგეობის მხრივ საქართველოს ეკლესია
განიკუთვება ეპარქიებად, ეპარქიები ოლქებად, ხოლო ოლქე-
ბი სამრევლოებად.

§ 2. საქართველოს ეკლესიაში შემდეგი ეპარქიებია:

ა) მცხეთისა და ტფილისისა, რომლის მწყემსომთავარი არის „მთავარ-ეპისკოპოზი მცხეთისა და ტფილისისა და სრულიად სა-
ქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი“. სამწყსო: საქართველოს
ეკლესიის წმ. დედაქალაქი მცხეთა, ორისავე არაგვისა და ქსან-
ლეხურის ხეობანი, გარე-ქართლი და გარე-კახეთი (ტრიტორია
ძველი ეპარქიების: მცხეთისა, წილკნისა, ნაწილი სამთავრისისისა
და სამთავროსი, ტფილისისა, მანგლისისა, წალკისა, ღმიანისისა,
ბოლნისისა, წინწყაროსი, აგარაკისა, რუსთავისა, კაწარეთისა
და ნინოწმიდისა), რასაც შეიცავს ეხლანდელი დუშეთის მაზრა
შემდეგის ცვლილებით: დასავლეთით ემატება ქსან-ლეხურის
ხეობათა ქვემო ნაწილი ვიდრე წლევის მთამდე, ტფილისის და
ბორჩალოს მაზრები და ბამბაკის ხეობა. კათედრა ეპარქიისა
არის მცხეთაში (სვეტიცხოველში), ხოლო კათოლიკოზის
რეზიდენცია-ტფილისში.

შენი შენჯა 1. კათოლიკოზ-პატრიარქის სამწყსოს შეად-
გეს საქართველოს ეკლესიის წევრი, მცხოვრები საკათოლი-
კოზის გარე ისეთ ქვეუნებში, სადაც მართლაქადიდებელი ეპის-
კოპოზი არ არის, და საქართველოს მხედრობა.

შენი შენგა 2. კათოლიკოზის გარდაცვალების შემდგრ
გამოიწვევა ერთერთი მღვდელმთავარი და იგი იწოდება კათო-
ლიკოზის მოსახლეობის არჩევაშედ.

ბ) ალავერდისა. სამწყსო: შიდა-კახეთი (ტერიტორია ძველი
ეპარქიების: ალავერდისა, ნეკრესისა და ხარკაშენისა), რასაც
შეიცავს ეხლანდელი თელავის და თიანეთის მაზრები ხარკი-
შოს უბნის მიმატებით და ამათ გარდა დილოეთ-დურწუჭეთი,
მიწერილი თერგისა და დაღესტნის მხარეებზე. კათედრა—ალა-
ვერდში, რეზიდენცია მღვდელმთავრისა ქ. თელავში. პატივი
მღვდელმთავრისა არის—„ალავერდელი ქაბისკოპოზი“ (ანუ
„აბბა ალავერდელი“).

გ) ბოდბისა. სამწყსო: ჰერეთი, რანი, შაქი და წუქეთი
(ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ბოდბისა, ჭერემისა, გიშისა,
და ხორანაბუჯისა), რასაც შეადგენს ეხლანდელი მაზრები და
ოლქები-სილნალისა, ზაქათალისა, სამურისა, ნუხისა, არეშისა,
განჯისა და ყაზახისა. კათედრა—ბოდბეში, რეზიდენცია მღვდელმ-
თავრისა—ქ. სილნალში. პატივი მღვდელმთავრისა: „ბოდბელი
ქაბისკოპოზი“.

დ) ურბნისისა. სამწყსო: შიდა-ქართლი (ტერიტორია ძველი
ეპარქიებისა: ურბნისისა, რუისისა, ნიქოზისა, ნაწილი სამთავისისა
და სამთავროსი), რასაც შეიცავს ეხლანდელი გორის მაზრა, გარ-
და ბორჯომის ხეობისა, და ამას გარდა დვალეთი, მიწერილი
თერგის მხარეზე. კათედრა—ურბნისში, რეზიდენცია მღვდელმ-
თავრისა—ქ. გორში. მღვდელმთავრის პატივი: „ურბნელი
ქაბისკოპოზი“.

ე) აწუქისა. სამწყსო: სამცხე, ჯავახეთი და ზემო-სომხე-
თი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: აწყურის, წურწყაბის,
კუმურდოსი, ერუშეთის, დადაშენის, წყაროსთავის, ანისის,
კარისა და ალაშკერტისა), რასაც შეადგენს ეხლანდელი ახალ-
კიხის მაზრა—ბორჯომის ხეობის მიმატებით, ახალქალაქის
მაზრა, არტაანის ოლქი, ყარსის ოლქი, ყალბევანის ოლქი,

კუმშრის მაზრა და ამათ გარდა ორი ოლქი ისმალეთის სამსახურის დაწყებული — ბასიანი და ალაშკერტი. კათედრა მღვდელთმთავრისა — აწყვერში (დროებით ზარზმაში), რეზიდენცია ქ. ახალციხეში. მღვდელთმთავრის პატივი — „მაწყვერელი ეპისკოპოზი“.

ვ) ქუთაისისა. სამწყსო: ქვემო იმერეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ქუთაისისა და ხონისა), — ეხლანდელი ქუთაისის მაზრა მდ. წყალწითელას ქვემოდ. კათედრა-ქუთაისში და მწყემსთმთავრის რეზიდენცია იქვე. მწყემსთმთავრის პატივი არის — „ქუთათელი მიტროპოლიტი“.

ზ) გენათისა. სამწყსო: ზემო იმერეთი (ტერიტორია გენათის ძველი ეპარქიისა), — ეხლანდელი შორაპნის მაზრა და ოკრიბა მდ. წყალწითელას ზემოდ. კათედრა მღვდელთმთავრისა — გელათში, რეზიდენცია — ქ. ზესტაფონში. მღვდელთმთავრის პატივი: „გენათელი ეპისკოპოზი“.

ც) ნიკორწმიდისა. სამწყსო: რაჭა (ტერიტორია ნიკორწმიდის ძველი ეპარქიისა), — ეხლანდელი რაჭის მაზრა. კათედრა-ნიკორწმიდაში, რეზიდენცია მღვდელთმთავრისა — ონში. პატივი მღვდელთმთავრისა: „ნიკორწმიდელი ეპისკოპოზი“.

თ) ცაგერისა. სამწყსო: ლეჩხუმ-სვანეთი (ტერიტორია ცაგერის ძველი ეპარქიისა), — ეხლანდელი ლეჩხუმის მაზრა. კათედრა-ცაგერში. მღვდელთმთავრის რეზიდენცია — იქვე. პატივი მღვდელთმთავრისა: „ცაგერელი ეპისკოპოზი“.

ი) ჭინწიდისა. სამწყსო: ოდიშა (ტერიტორია ძველი ეპარქიებისა: ჭიონდიდისა, ცაიშისა და წალენჯიხისა), ეხლანდელი სენაკისა და ზუგდიდის მაზრები. კათედრა მწყემსთმთავრისა — მარტვილში, რეზიდენცია — ქ. ფოთში. პატივი მწყემსთმთავრისა არის „ჭიონდიდელი მიტროპოლიტი“.

ია) ბათოშ-შემოქმედისა. სმაწყსო: გურია, ტაო-კლარჯეთი და კანეთი (ტერიტორია ძველი ეპარქიების: ხინოწმიდისა — იმავე ბათოშის, შემოქმედისა, ჯუმათისა, სატრაფელასი, ტბეთისა, ანჩისა, იშხანისა და ბანისა), რასაც შეიცავსა საქართველოს და სამართლებრივი სტუდენტის სამსახურის მიერთებული მიტროპოლიტი.

თველოს რესპუბლიკის სამზღვრებში—ეხლანდელი ოზურგეთის
მაზრა, ბათომის, ართვინის და ოლთისის ოლქები, ხოლო
ოსმალეთის სამზღვრებში—ოლქები: თოროთომი, კისკიმი, ისპი-
რი, რიზე, ათინა და ხოფა. კათედრა მღვდელთმთავრისა—ქ.
ბათომში და რეზიდენცია იქვე. პატივი მღვდელთმთავრისა—
„ბათომელ-შემოქმედელი ეპისკოპოზი“.

შენიშვნა: სანამ გურიის ეპარქიაში საკუთარი მღვდელთმთა-
ვარი დაინიშნებოდეს, ეპლანდელ გურია-სამეგრელოს ეპის-
კოპზეს ეწოდოს ჭეთნდადელ-შემოქმედელი.

იბ) ცხუმ-აფხაზეთისა. (ტერიტორია ძველი ეპარქიების:
დრანდისა—იმავე ცხუმის, ბედიისა, მოქვისა და ბიჭვინთისა),
ეხლანდელი სოხუმის ოლქი გაკრის უბნის მიმატებით. კათე-
დრა მღვდელთმთავრისა ცხუმში (სოხუმში), რეზიდენცია—იქვე.
მღვდელმთავრის პატივი არის—„ცხუმელ-აფხაზეთელი მიტრო-
პოლიტი“.

შენიშვნა 1. მიტროპოლიტები პატივით ეპისკოპოზებ-
ზე მადლა დგანან. სამიტროპოლიტო კათედრები იქრარქიულად
თანასწორნი არიან, აგრეთვე საეპისკოპოზო კათედრები. შესამ-
მთავარნი პატივდებულ იქმნებიან ხელდასხმის (ქიროტონის)
უხუცესობის შახედვით.

შენიშვნა 2. ამ სიის შეცვლა და შევსება სრულიად საქა-
თვების ეპლესიის პრების კომისტეტუნციას ეპუთვნის.

მთავარი გამგეოგა.

§ 3. საქართველოს ეკლესიას განაგებს საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც შეადგენს ორ-ორი წარმომადგენელი თითო ოლქისაგან. ამათგან ერთი უჟღველად სამლ-ვდელო პირთაგანი უნდა იყვეს, ხოლო მეორე ეკლესიის სრულწლოვან წევრთაგან, განურჩევლად სქესისა, თანამდებობისა და ხარისხისა (შეიძლება სასულიერო პირიც იყვეს).

ამათ გარდა საეკლესიო კრების აუცილებელ წევრებად ითვლებიან ყველა მმართველი მღვდელთმთავრები, საკათოლიკოზო საბჭოს წევრები, თვითეულ ეპარქიითგან თითო წარმომადგენელი დედათა და მამათა მონასტრებისა, და თითო წარმომადგენელი სასულიერო უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთაგან და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან.

შენიშვნა 1. ავადმყოფობის დროს მღვდელთმთავარს უფლება აქვს წარგზავნოს კრებაზე თავისა წარმომადგენელი.

შენიშვნა 2. დელეგატად არჩეულ უნდა იქმნას საერთაკანი ისეთი პირი, რომელიც სამ უქანასენელ წელიწადში ერთხელ მაინც ზარებულა, ხელო სამღვდელთავან, რომელიც წელიწადში თრვურ იტევის ადსარებას თავის მოდმდვართან, და რომელთაც სასამართლოს მიერ არ აქვთ ჩამორთმული ანუ შეზღუდული საზოგადო კრებაზე დასწრების უფლება.

შენიშვნა 3. დელეგატს საოლქო კრების წევრნი ირჩევენ თვის შორის.

შენიშვნა 4. დელეგატად არ შეიძლება არჩეულ იქმნას მღვდლის სარისხისაგან განდგომილი, ან გაჟვეთილი.

§ 4. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების თავმჯდომარეობს კათოლიკოზი, ხოლო როცა იგი არ არის, მისი მოსაყდრე, და თუ მოსაყდრეც არ არის, ერთ-ერთი მღვდელთ-



მთავარი კრების, არჩევით, კრებავე ირჩევს პრეზიდიუმის და-ნარჩენ წევრებს და მდივნებს. კრება არის პერიოდიული, წელიწადში ერთხელ, და მუდმივი—საკათოლიკოზო საბჭოს სახელით. პერიოდიულ კრებას იწვევს კათოლიკოზი, ან მისი მოსაყდრე. კრება კანონიერია, თუ მოწვეულთა ნახევარი მაინც გამოცხადდება.

§ 5. საქართველოს ეკლესიის პერიოდიულ კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) ადგილობრივი საეკლესიო კანონმდებლობა; ბ) უზენაესი საეკლესიო სამართალი; გ) საბოლოოდ ვარჩევა და გადაწყვეტა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საკათოლიკოზო საბჭო წარუდგენს; დ) ირჩევა საკათოლიკოზო საბჭოს, ანუ მუდმივი კრების წევრებისა და მათი კანდიდატებისა; ე) ძველი კათედრების აღდგენა, ახალი ეპარქიების გახსნა, ან არსებულ ეპარქიათა დახურვა და სამზღვრების გადამიჯნვა; ვ) ზრუნვა სასულიერო სასწავლებელთა დაარსებისა და ნივთიერად უზრუნველყოფისათვის.

§ 6. მუდმივი კრება, ანუ საკათოლიკოზო საბჭო შესდგება ყველა მმართველ მღვდელომთავართაგან და ექვსის წევრისაგან. საბჭოს წევრები და მათი 6 კანდიდატი აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ, როგორც დელეგატთა, ისე არა დელეგატთაგან. ნახევარი არჩევული წევრებისა და მათი კანდიდატებისა უთურად სამღვდელო პირნი უნდა იყვნენ.

შენიშვა: კათადიკოზ-პატრიარქი და საბჭოს წევრები ჰასეხისმგებელი არინ შერიცდიულ კრების წინაშე.

§ 7. საბჭოს წევრნი, აგრეთვე მათი კანდიდატები აღირჩევიან საეკლესიო კრების მიერ სამის წლის ვადით და შეუძლიინთ ხელ-ახლა არჩეულ იქმნან. საბჭოს თავმჯდომარეობს კათოლიკოზ-პატრიარქი, ხოლო როცა ის ავად არის ან სხვაგან საღმეა უხუცესი სამღვდელო პირი.

შენიშვა: შერიცდიულ კრებას უფლება აქვს საბჭოს არჩეული წევრი განათავისუფლოს სამსახურით გან გადის გათავებაშეც.

8) საბჭოს სხდომა კანონიერია, თუ მას დაქმუშავება
თავმჯდომარე და ტფილისში მყოფ წევრთა ნახევარი.

შენიშვნა: მართველი მდგრელიმოსის საბჭოს სხდომა
შებზე გამოიწვევან საჭიროებისადაც გავარად.

§ 9. საბჭოში საკითხი უბრალო ხმის უმეტესობით
სწყლება, ხოლო როცა ხმები თანაბრძლ იყოთ, მაშინ ის
აზრი უპირატესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა.

10. საბჭო წევრთ არ აქვთ უფლება თავი შეიკავონ
ხმის მიცემისაგან.

§ 11. თუ რომელიმე წევრი მოისურვებს კერძო აზრის
შეტანას, მოვალეა გამოსთვას იგი თვით სხდომაზედ, და არა
უგვიანეს სამის დღისა წარუდგინოს წერილობით სხდომის
თავმჯდომარეს, უურნალში შესატანად, ანუ დასართველად.

შენიშვნა: პერდო აზრი ვერ შეაჩერებს მიღებული გან-
ჩინების სისრულეში მოუქანას.

§ 12. საქმეების განხილვის რიგს აწესებს თავმჯდომარე.

§ 13. საკითხის ალბრტის უფლება აქვს საბჭოს ყველა
წევრს; ამ უფლების განსახორციელებლად საჭიროა წერილო-
ბითი განცხადების შეტანა კათოლიკოზ-პატრიარქის საშუალე-
ბით, რომელიც მოვალეა აღნიშნული განცხადება გადასცეს
განსახილველად საბჭოს უმახლობელს კრებას.

§ 14. კათოლიკოზ-პატრიარქის არ აქვს უფლება, მოხ-
სნას თავის განკარგულებით საკითხი რიგისაგან, ხელი შეუშა-
ლოს განჩინების გამოტანას დასმულ საკითხზე, ან შეაჩეროს
განჩინების სისრულეში მოყვანა.

§ 15. კათოლიკოზ-პატრიარქი, თუ დაინახავს, რომ საბ-
ჭოს მიერ გამოტანილი განჩინება მავნებელი და საზიანოა
სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხრით ეკლესიის კეთილდღეობისა-
თვის,—შეუძლია განაცხადოს პროტესტი და სამის დღის
განმავლობაში შეიტანოს საბჭოში წერილობითი წინადადება
საკითხის გადასინჯვისათვის. ეს წინადადება საბჭომ უნდა გა-

ნიხილოს არა უგვიანეს შეიდის დღისა (სხდომას უნდა დაესწროს ტფილისში მყოფ წევრთა ორი მესამედი მაინც) და თუ ამ სხდომაზე გამოტანილი განჩინებაც ვერ გაიზიარო კათოლიკოზმა, უკანასკნელს შეუძლია ან შეაჩეროს საქმის წარმოება, ან გადასცეს იგი განსახილველად უმახლობელეს პერიოდიულ კრებას, ან სისრულეში მოიყვანოს თავისი წინადაღება პერიოდიული კრების წინაშე ჰირადის პასუხისმგებლობით.

შენიშვნა: ამ გვარი პროტესტის უფლება აქვს მხოლოდ კათოლიკოზმული ტრინიტარიანებს.

§ 16. როცა საბჭოში იჩიევა საჩივარი თავეჯდომარის ანუ საბჭოს წევრის უკანონო მოქმედებათა გამო, დაინტერესებულ პირს ნება აქვს დარჩეს დარბაზში საქმის მოხსენების დროს და მიაწოდოს საბჭოს საჭირო განმარტება, მაგრამ, როცა საბჭო შეუდგება განჩინების გამოტანას, უეჭველად უნდა დასტოვოს დარბაზი.

შენიშვნა: როდა საჩივარი ესება თავმჯდომარის (კათოლიკოზმული) უკანონი მოქმედებას, საბჭოს თავმჯდომარეობს უნუცესი დამსწრე მდგდელთმთავართავან.

§ 17. საბჭოს განჩინებას ხელს აწერს ყველაზედ უწინ თავმჯდომარე და მას უკან ყველა იმ სხდომაზე დამსწრე წევრი, მიუხედავად იმისა, თანახმა იყო იგი გამოტანილი განჩინებისა, თუ არა.

§ 18. საბჭოს წევრთა შორის საქმეთა განაწილება და მათი წარმოების წესი ხდება საბჭოსავე განჩინებით. თუ რომელიმე წევრი არ ასრულებს თავის მოვალეობას და ხელს უშლის საქმის ნორმალურად წარმოებას, საკათოლიკოზო საბჭოს ვძლევა უფლება მისი გადაყენებისა და მის აღვილზედ კანდიდატის მოწვევისა. ამის შესახებ საკათოლიკოზო საბჭო ვალდებულია, მოხსენოს მორიგ საეკლესიო კრებას, მხჯავრის დასადებად.

§ 19. საკათოლიკოზო საბჭოს სამსახურის მხრით ექვემდებარებიან როგორც მღვდელთმთავარნი და სასულიერო პირ-



ნი, აგრეთვე საეკლესიო დაწესებულებანი და მათში მისამასა-
ხურენი, ხოლო სარწმუნოებისა და საეკლესიო დისკიპლინის
მხრით ყოველი წევრი საქართველოს ეკლესიისა. საბჭოს დადგე-
ნილებანი სავალდებულოა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა
და ეკლესიის წევრთათვის; იმათი შეცვლა შეუძლია მხოლოდ
საბჭოს და ჰერიონიულ კრებას. საქათოლიკოზო საბჭო თავი-
სი ფუნქციების აღსრულების დროს ხელმძღვანელობს საღ-
მრთო წერილით, მსოფლიო და ოდგილობრივი (მათ შორის
საქართველოს ეკლესიის) კრებათა დადგენილებით და სახელ-
მწიფოში მოქმედ კანონმდებლობით. საქათოლიკოზო საბჭოს
აქვს დამხმარე თრაგანოები, კანცელარია და სხვა.

§ 20. საქათოლიკოზო საბჭოს ანუ მუდმივ კრებას
ექვემდებარება შემდეგი საქმეები: ა) ზრუნვა საეკლესიო სწავ-
ლა-მოძღვრებისა და ქართული ღვთისმეტყველების აყვავების
და შეურყვნელად დაცვისათვის; ბ) ზრუნვა სამწყსოთა სარწ-
მუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისათვის; გ) საჭიროებათა მი-
ხედვით ირსებულ კანონთა ფარგლებში განკარგულების გამო-
ცემა და დროებით, მორიგ საეკლესიო კრებამდე, ცხოვრება-
ში მისი გატარება; დ) ოვალყურის დევნება მის ქვევით
მდგომ პირთა და დაწესებულებათა მოქმედებისა; ე) ზრუნვა
მონასტერთა, ტაძართა, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო
დაწესებულებათა კეთილ-მოწყობისათვის; ვ) განხილვა და სა-
თანადო დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობის აღძრვა
მონასტერთა, ეკლესიათა, საქველმოქმედო და სამოსწავლო-
საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების შესახებ; ზ) სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა და თანამდებობის
პირთა წინაშე საეკლესიო საქმეთა გამო შუამდგომლობის აღ-
ძრვა; ც) ზრუნვა სამღვდელოების ქონებრივად უზრუნველყო-
ფისათვის; თ) ზრუნვა სამსახურითვან გასულ სამღვდელო პირ-
თა, საეკლესიო დაწესებულებათა მოხელეთა და სამღვდელოე-
ბის ქვრივ-ობოლოთათვის; ი) ზრუნვა საღმრთო და საეკლესიო-

საღვთისმსახურო წიგნთა შედგენისა, შესწორებისა და ცემისათვის; ია) მღვდელომთავართა, თანახმად მათის თხოვნისა, სამსახურითვან განთავისუფლება; იბ) რევიზიის დანიშნვა სხვა-და სხვა საკიროებათა და შემთხვევათა გამო; იგ) ეპარქიებისა და საეკლესიო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვის განხილვა-დამტკიცება; იდ) საეპარქიო დაწესებულებათა წლიური ანგა-რიშების განხილვა და მთელი საკათოლიკოზოის წლიური ან. გარიშის შედგენა პერიოდიულ კრებისათვის წარსადგენად; იე) საეკლესიო უძრავ ქონებათა შეძენა-განთვისების დამტკიცება; ივ) საბოლოოდ გარჩევა აპელაციის და კასაციის წესით საე-პარქიო სასამართლოთაგან შემოსულ საქმეთა; ის) ნებართვა საკათოლიკოზოს ეკლესიებში ნებაყოფლობითი შეწირულების საქველმოქმედო მიზნით შეკრებისა; ის) სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობის დაჭრა; ით) წინასწარი მუშაობა პერიოდიულ კრების მოწვევისათვის და აგრეთვე ამ კრებაზე განსახილველ საკითხთა დამუშავება და მისაღების შეკრება; კ) ხელმძღვანელობა კათოლიკოზის არჩევნებისა; კა) მიცემა ღრმებითის თავისუფლებისა, ერთ თვეზე მეტის ვადით, ეპის-კოპოზებისა და საკათოლიკოზო საბჭოს წევრების და საბჭოს დამხმარე ორგანოთა გამგეთათვის; კბ) ზრუნვა გალობის აღდ-გენა-გამშევნიერებისათვის; კგ) ზრუნვა საარქელოგიო ნაშთთა დაცვისათვის; კდ) ზრუნვა უეპისკოპოზოდ დარჩენილ ეპარ-ქიოთათვის; კე) დანაშაულობანი, ომელთათვის საეკლესიო კანონით დანიშნულია ეკლესიის წევრობითვან გამორიცხვა და მღვდლის ხარისხითვან განკვეთა; კვ) საეპარქიო სასამართლოს წევრთა და მღვდელმთავართა დანაშაულობანი სამსახურში.

§ 21. კათოლიკოზი. საჭეომშეყრობელია, (მთავარ-წინამ-ძღვრად) ეკლესიისა ითვლება მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და ტფილისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარ-ქი, ომელსაც ირჩევს საქართველოს ეკლესიის წევრობიული კრება, ფარული ხმის მიცემით.

შენიშვნა: საკათოლიკოზო ქანდიდატისათვის ბერიბის მიღება საფალდებულო არ არის. ფიზიკურისა და ზნეობრივის მხრით, იგი უნდა აკმაყოფილებეს საექლესით ქანთონთა მთხოვნილებას და უნდა ჰქონდეს მიღებული სუმაღლესი საზოგადო განათლება და შესაფერისი სადაცის-შეტყველო მომზადება.

§ 22. კათოლიკოზ-პატრიარქის კომპეტენცია ასეთია:

- ა) ის თავმჯდომარეობს სრულიად საქართველოს საეკლესიო პერიოდიულ და მუდმივ კრებას; ბ) მწყემსმთავრულიად მიმოიღილავს საკათოლიკოზოს ეპარქიებს და ხელმძღვანელობას უწევს ეპისკოპოზებს საეპარქიო მართვა-გამგეობაში; გ) მის სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს საკათოლიკოზოს მღვდელთმთავარნი და სამღვდელოება; დ) იგი აძლევს დროებითს თავისუფლებას ეპისკოპოზებს, საკათოლიკოზო საბჭოს წევრებს და საბჭოს დამხმარე ორგანოთა გამგეებს არა უმეტეს ერთის თვისა წელიწადში, ხოლო საეპარქიო მართვა-გამგეობის ორგანოთა მეთაურებს და სასამართლოს წევრებს ორი თვითგან და მეტს; ე) აგრეთვე აძლევს დათხოვნის სიგელებს იმ ეპისკოპოზებს, რომელნიც დროებით ეპარქიითვან სხვაგან სადმე მიღიან; ვ) იღებს საჩივარს ეპისკოპოზთა, საკათოლიკოზო საბჭოს წევრთა, საეპარქიო კრებათა და საეპარქიო დაწესებულებათა (სასამართლოს) შესახებ და აძლევს ამ საჩივრებს კანონიერ მსვლელობას; ზ) საჭირო შემთხვევაში, საბჭოს მინდობილობით, ის აძლევს რჩევის და მწყემსმთავრულ შენიშვნას ეპისკოპოზებს და საეპარქიო სასამართლოს თავმჯდომარებისა და წევრებს; ლ) საბჭოსაცე მინდობილობით იმას მიწერ-მოწერა აქვს სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან და სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებებთან; ი) მოიწვევს საეკლესიო პერიოდიულ კრებას.

საქართველოს მართვა-განვითარება.

§ 23. ეპისკოპოზი. საეპარქიო მმართველობაში საეკლესიო კრების ფუნქციების განმასახიერებელი არის მისი წევრი, — ადგილობრივი მღვდელთმთავარი, რომელსაც მართვა-გამგეობაში დახმარებას უწევს საეპარქიო კრება.

§ 24. საეპისკოპოზო კანდიდატი აღირჩევის საეპარქიო კრების მიერ. საეპისკოპოზო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი განათლება და შესაფერისი საღვთისმეტყველო მომზადება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში არა უმცირეს საშუალო საღვთისმეტყველო განათლებისა; ფიზიკურად და ზეობრივად უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას.

შენიშვნა 1. საეპისკოპოზო კანდიდატისათვის ბერძნები შედგომა საჭალდებულო არ არის.

შენიშვნა 2. საეპისკოპოზო კანდიდატის არჩევა სდება შემდეგი წესით: კანდიდატის დასახელება შეუძლია დაჭრივებული ეპარქიის უფლებავე წევრს. ეპარქიის დაჭრივებითგან სამი თვის გასვლამდის, დასახელებულ კანდიდატთა სიას ეპარქიის დროებითი მმართველი მღვდელთმთავარი წარუდგნს სათანადო ცნობების თანხართვით კათოლიკოზ-პატრიარქს. კანდიდატთა სიას იხილავს მმართველ ეპისკოპოზთა კრებული (სამი უნდა უქვეყნად დაუსწროს პირადად, ხოლო დანარჩენთა-გან გამოითხვების სათანადო გრამატა). ეპისკოპოზთა კრებულისაგან განსილებული სია წარეგზავნება ეპარქიის დროებით მმართველ ეპისკოპოზს კრებისათვის გადასცემად. უკეთა კანდიდატს განვითარება ცალ-ცალკე. არჩეულად ითვლება ის, განც უკეთა შეტანის განცხადის მიღების, შაგრამ არა უმცირეს დედაქარტა სახევრისა. არჩეულ კანდიდატს ამტკიცებს საკათოლიკოზო საბჭო.



შენიშვნა 3. თუ საეპარქით კრებაშ საეპისკოპოზოზე დადგინდეთ არ აირჩია, მაშინ მდვდელითმთავარი ინიშნება საკათო-დიაკონ საბჭოს მაერ.

ს 25. ეპისკოპოზის კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელს ეპარქიაში სწავლა-მოძღვრებისა; ბ) უფლება ყოველგვარის, მღვდელმოქმედების შესრულებისა; გ) ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში მორწმუნები საღს საეკლესიო სწავლას იცავდნენ და განმტკიცებულ-იყვნენ კეთილ ზნეობაში; დ) ოვალყურის დევნება სამონასტრო საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში; ე) განხილვა საოლქო კრებების განჩინებათა; ვ) ოვალყურის დევნება ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდემობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში; ზ) საბოლოოდ განხილვა და გადაჭრა საკითხისა ახალი ოლქების გახსნის ან არსებულ ოლქთა შემცირებისა, გინდ გაყოფისა და გადამიჯნისა ეპარქიის ფარგლებში; ც) უფლება კრებულის წევრთა აღგილზედ არჩეულ კანდიდატის დამტკიცებისა; თ) სარწმუნოებრივ საქმეში მასზე დამკიდებულნი არიან ეპარქიის ყველა წევრები; ი) მის სახელს აღალენს წირვა-ლოცვის ღროს მთელი ეპარქიის სამღვდელოება; ია) ის აძლევს ღროებით თავისუფლებას, არა უმეტეს ორის თვისა, საეპარქიო დაწესებულებებში მოსამსახურეთ და კრებულის წევრთა; იბ) ბერიობისა და სასულიერო წოდებითგან განთავისუფლება.

ეპისკოპოზი ვალდებულია: ა) დაემორჩილოს საეკლესიო კანონებსა და მთავარ საეკლესიო შპართველობის მიერ კანონიერად გამოცემულ დადგენილებათა, ხოლო, როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონისა ან დადგენილების შესხებ გაუგებრობა რაიმე დაებალება, განსამარტებლად მთავარ საეკლესიო მთავრობას მიშმაროს; ბ) ცხოველი კავშირი იქონიოს სამწყსოსთან და ამ მიზნით ხშირ-ხშირად მიმოიხილოს თავისი ეპარქია; გ) ყველაფერში დემორჩილოს პერიოდიულ და მუდ-

მივ საეკლესიო კრებას; დ) მთავარი საეკლესიო მთავრულობის ნებადაურთველად არა მოიქმედოს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღემატება; ე) წირვა-ლოცვის დროს კათოლიკოზის სახელს იხსენიებდეს; ვ) სხვა ეპარქიაში თავისი ნებით არა დაიწყოს რა; ზ) პატივისცემით ეპურობოდეს სხვა მღვდელთ-მთავრებს; ც) საეპარქიო კრებაზე განსახილველი საკითხები წინასწარ დაუგზავნოს საოლქო კრების თავმჯდომარებს; თ) გასცეს ისეთი დოკუმენტები, რომელნიც მორწმუნეთა მოქალაქობრივ მღვომარეობას შეეხებიან; ი) შეადგინოს წლიური ანგარიში საეპარქიო კრებისა და საკათოლიკოზო საბჭოსა-თვის წარსადგენად.

§ 26. საეპარქიო კრება ეპარქიის მღვდელთმთავარს მარ-თვა-გამგეობაში დახმარებას უწევს საეპარქიო კრება.

§ 27. საეპარქიო კრება ორგვარით,—ჩვეულებრივი, წელიწადში ერთხელ, და არაჩვეულებრივი, საჭიროებისადა-ვარად.

§ 28. საეპარქიო კრება შესდგება თვითეული ოლქის ორ-ორის ჭარმომადგენელისაგან, რომელთაგან ერთი უძველელად სამღვდელო პირი უნდა იყვეს.

შენიშვნა 1. დელეგატად არჩევა შეიძლება შეთღოდ ისეთი შინრისა, რომელიც სამ უკნასენელ წელიწადში ერთხელ შაინც ზიარებულა და რომელსაც სასამართლოს მარტ არ აქვს ჩამორთმეული ან შეზღუდული საზოგადო კრებაზე დასწრების უფლება. სამღვდელოთაგან დელეგატად არჩევა ისეთი შინრი, რომელიც წელიწადში არჭერ შაინც იტევის ადსარებას თავის მოძრაობას.

შენიშვნა 2. წარმომადგენელად არ შეიძლება არჩევა მღვდელის სირისხითგან განდგომილისა, ან განვევთილისა.

შენიშვნა 3. წარმომადგენელს თლქის კრების წევრი ირჩევენ თვის შორის.

შენიშვნა 4. კრების უკეთესობის წევრი არიან საეპარქიო სასამართლოს წევრი და თითო წარმომადგენელი ეპარქიის ბერთა და მონაზონთა.

§ 29. კრებას თავმჯდომარეობს აღვილობრივი მღვდელთ-მთავარი; როცა მღვდელთმთავარი არ არის, კრება თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს სამღვდელო პირთა შორის. კრებავე ირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს და მდივნებს. კრება კანონიერია, თუ მასზე გამოცხადდა არა უმცირეს მოწვევულთა ნახევრისა.

§ 30. საეპარქიო კრების უფლებას შეადგენს: ა) საეპარ-ქიო სასამართლოს წევრთა და მათ კანდიდატების არჩევა; ბ) აღლურის დევნება საეპარქიო ცხოვრებისა და საეპარქიო დაწესებულებათა მოქმედებისა; გ) ზრუნვა საეკლესიო, სამოს-წაფლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებისა, გაუმ-ჯობესობისა და ნივთიერ საშუალებათა გამონახვისათვის ეპარ-ქიაში; დ) ზრუნვა გალობის გაუმჯობესობისათვის და აგრეთვე ზრუნვა სიძველეთა დაცვისათვის.

შენიშვნა: სიეპარქიო კრების განხინება შედის ძალაში, თუ მას ემსრობა აღგილობრივი მღვდელთმთავარი, წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხი გადაეცემა საკათოლიკო სამსახურის მიერ.

1325
2



საოლქო მართველობა.

ს 31. ოლქს საეპარქიო მთავრობის ხელმძღვანელობით განაცხადს ოლქის მთავარხუცესი, რომელიც აღირჩევის ოლქის კრების მიერ სამღვდელო პირთავან სამის წლის ვადით, დამტკიცება კი დამოკიდებულია საეპარქიო მთავრობაზე.

შენიშვნა: მთავარხუცესს ჰყავს თანაშემწე, თუ ამას საჭიროდ დაინახავს საოლქო კრება. თანაშემწე აღირჩევის კრების შეირ იმავე წესით, როგორც მთავარხუცესი.

ს 32. მთავარხუცესი ადგენს საოლქოს წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საოლქო კრებასა და საეპარქიო მთავრობას ბ) წინასწარ დაიმუშავებს საკითხებს, რომელიც საოლქო კრებას უნდა წარედგინოს განსახილველად; გ) ხელმძღვანელობას უწევს სამრევლო კრებებს კრებულის წევრთა არჩევნებში; დ) იძლევა საჭირო ცნობებს ოლქის დაწესეაულებათა და მოსამსახურე პირთა შესახებ, როცა ამას უმაღლესი საეკლესიო დაწესებულებანი მოითხოვენ; ე) ზრუნავს მოაწესრიგოს კრებულის წევრთა შორის ამტყდარი უთანხმოებანი საძმო შემოსავლისა და საზოგადოდ სამეურნეო საქმეების გამო, აგრეთვე ამავე ხასიათის უთანხმოებანი კრებულის წევრთა და სამრევლო საბჭოებს შორის და სხვა; ვ) აძლევს კრებულის წევრთა თავისუფლებას არა უმტკის ორის კვირისა.

ს 33. საეკლესიო ოლქში შედის ათითვან ოცდა ხუთ სამრევლომდე, ადგილობრივის პირობების მიხედვით.

ს 34. ოლქის კრება შესდგება ოლქის კრებულთა ყველა წევრებისაგან და თვითეულ სამრევლო საბჭოს იმოდენა წარმომადგენელთაგან, რამდენიც წევრია კრებულში.

ს 35. საოლქო კრება კანონიერია, თუ მასზედ გამოცხადდა ოლქის სამრევლოთა უმრავლესობის წარმომადგენელნი.

§ 36. კრებას თავმჯდომარეობს ოლქის მთავარხუცენი,
ან მისი თანაშემწე.

§ 37. საოლქო კრება არის ჩვეულებრივი, წელიწადში
ერთხელ და არაჩვეულებრივი—საჭიროებისადაცვარად.

§ 38. საოლქო კრების კომპეტენციას ეკუთვნის ა) არ-
ჩევა დელეგატებისა საეპარქიო და პერიოდულ საეკლესიო
კრებისათვის, და მთავარხუცესისა და მისი თანაშემწეისა; ბ)
ზრუნვა სამრევლოებში საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებისა
და წარმატებისათვის; გ) ზრუნვა ქვრივ-ობოლ-გაჭივრებულ-
თათვის, და საზოგადოდ საქველმოქმედო საქმის მოწყობა
ოლქში; დ) მთავარხუცესის ანგარიშის განხილვა; ე) შუამდ-
გომლობის ილძრვა და მოსაზრებათა წარდგენა შესახებ ახალის
სამრევლოების დაარსებისა, არსებულ სამრევლოთა გაყოფისა
და შემცირებისა; ვ) სასყიდლის დანიშნვა მთავარხუცესი-
სათვის.

შენიშვნა: სათლეჭ კრების განხილებანი წარედგინება საქ-
პარქიო მთავრობას, რომელზედაც დამოკიდებულია მათთ და-
მტკიცება.

ს ა მ რ ე ვ ლ ო

§ 39. სამრევლო არის ერთი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მიზნით, ურთიერთის დახმარების აზრით, საეკლესიო მეცნიერობით, საკუთარის მოძღვრის ხელმძღვანელობით, საერთო ტაძრის გარშემო შემოკრებილი და ეპისკოპოზზე კანონიურად დამოკიდებული მორწმუნეთა საზოგადოება.

შენიშვნა: სამრევლო ფურიდიულ პირს წარმოადგენს.

§ 40. სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, უკეთუ მორწმუნეთა რიცხვი იმოდენად მცირეა, რომ საკუთარი ტაძრის და კრებულის შენახვა არ შეუძლია. თვითეულ სამრევლოს უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია, რომლის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს სხვა სამრევლოებთან შეთანხმებით და სათანადო საეპარქიო მთავრობის ნებართვით.

შენიშვნა 1. ქალაქებში სამრევლოთათვეს ტერიტორია-დური პრინციპის დაცვა საფალდებულო არ არის.

შენიშვნა 2. ორდესაც მორწმუნეს ერთი სამრევლოს ტერიტორიითგან მეორისაში უხდება გადასწყვა (მაგალ. ქალაქებში), მას შეუძლია, თუ მთისურვებს, წინანდელი სამრევლოს წევრად დარჩეს.

§ 41. მრევლად ითვლება ყოველი მორწმუნე, რომელიც განსაზღვრულს სამრევლოს ეკუთვნის, შეტანილია სამრევლო დავთარში და მონაწილეობას იღებს ყველა ხარჯებში, რასაც სამრევლო ეწევა.

§ 42. ყოველ სამრევლოს აქვს თავისი საკუთრება, რასაც შეადგენენ სხვა და სხვა სახელწოდებისა და დანიშნულების თანხები და მათი შემოსავალი, სანთლის მოვება, ტაძარში, სამრევლოში ან სხვაგან შეგროვილი შემოწირულება, სასაფლაოს შემოსავალი, სამრევლო და საკრებულო ადგილ-

შამული და მისი შემოსავალი, ყოველგვარი საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ხასიათის შემოწირულება, საკრებულო სახლები, ტაძარი და მისი სამკაული, სასაფლაო და სხვა. ამ საკუთრებას სამრევლო განაგებს შესაფერ ორგანოთა საშუალებით.

შენიშვნა 1. სამრევლოს შემთხვევადი უნდა მოხმარდეს შეთღოდ საეკლესით — სარწმუნოებრივ საჭიროებას, ადგილობრივი მდგრედმთავრის ხებართვით.

შენიშვნა 2. ტაძარი არის მორწმუნება სამდოცველო შენობა, სამრევლო, საკულტო, სახელმწიფო ანუ კრძოლებული მემკვიდრეობის სარწით აგებული. ერთსა და იმავე სამრევლოში შეაძლება იუსტიციურილი ტაძარი, რომელიმაც, თუ საჭიროება მითხოვს და მისახერხებელიაც იქმნება, სრულდება უფლებარი ღვთისმსახურება.

შენიშვნა 3. მიცემულებულთა დასამარსად სამრევლოს მისანებული აქცეს საგანგებო ადგილი — სასაფლაო. სამრევლოს შეუძლია საფლავებისათვის განსაზღვრული ფასი დააწესოს, დარიბები კი — უფასოდ უნდა იმარხებოდენ.

შენიშვნა 4. ქალაქების საზოგადო სასაფლაოების მართვა-გამზებრივი მქონემდებარება საეპარქით მთავრობას, რომელისაც კუთვნის სასაფლაოების გასეიდვისაგან შემთხვევი ფულის გამგებლობაც.

§ 43. ოდესაც სამრევლო საბოლოოდ იხურება, მისი ქონება გადადის საქართველოს ეკლესიის კუთვნილებად; თუ ის სხვა სამრევლოს მიეწერა, იმის ქონება უკანასკნელის კუთვნილებად იქცევა; ხოლო ოდესაც სამრევლოს ომელიმენაწილი დამოუკიდებელ სამრევლოდ გამოიყოფა, იმის საერთო ქონებითგან მიეცემა დაკმაყოფილება ძირითადი სამრევლოს გადაწყვეტილებისამებრ.

§ 44. სამრევლოს განაგებს საეპარქიო მთავრობის ხელ-



შძღვანელობის ქვეშე ეკლესიის წინამძღვარი, სამრევლო კრების და სამრევლო საბჭოს დახმარებით.

§ 45. სამრევლო კრებას შეადგენს ყველა მართლმადიდებელი ქალი და კაცი (არა უმცირეს 20-ის წლისა), რომელნიც ამ სამრევლოს საბუთებში არიან ჩაწერილნი, როგორც წევრნი სამრევლოისა.

§ 46. უფლება სამრევლო კრებაში მონაწილეობის მიღებისა გადამწყვეტის ხმით აქვთ ა) კრებულის წევრთ და ბ) ყველა სრულწლოვან მართლმადიდებელ ქალსა და კაცს (არა უმცირეს ოცის წლისა), რომელნიც ამ სამრევლოს საბუთებში არიან ჩაწერილნი, როგორც წევრნი სამრევლოისა. გამონაკლიის აღნიშნულია ქვემოთ მუხლში.

§ 47. სამრევლო კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ იმ პირთ, ა) რომელნიც დაარღვევენ წესიერებას ტაძარში, აგრეთვე სამრევლო კრებაზე, ბ) რომელთაც არ შემოაქვთ სამრევლო გადასახადები (თუ ისინი სამრევლო კრების მიერ განთავისუფლებულნი არ არიან, როგორც ღარიბები, გადასახადისაგანა, გ) რომელნიც სამს უკანასკნელ წელიწადში არც ერთხელ არ ზიარებულან, დ) რომელნიც ჯვარდაუწერელად სცხოვრობენ მეუღლეებთან და ე) რომელთაც სამის წლისაზე მეტის ხნის შვილი ჰყავთ მოუნათლავი.

§ 48. კრება არის ჩვეულებრივი—წელიწადში ორჯერ და არაჩვეულებრივი—საჭიროებისამებრ. სამრევლო კრებას იწვევს და თავმჯდომარეობს ეკლესიის წინამძღვარი. კრება უნდა მოწვეულ იქმნას იმ შემთხვევაშიაც, როცა ამას მოითხოვს არა უმცირეს სამრევლოის 20-ის სრულ-წლოვანის წევრისა; კრება კანონიერია, უკეთე მასზე სამრევლოს მეკომურთა წარმომადგენელთა $\frac{2}{3}$ მაინც გამოცხადდება, ხოლო თუ კრება პირველ მოწვევაზე არ შესდგა, მეორედ იგი კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

შენიშვნა: სხდომის მდივანს კრება თვითონ იჩიევს.

49. სამრევლო კრების კომიტეტის ციის ეკუთვნის: ა) არჩევა კრებულისა და სამრევლო საბჭოს წევრებისა და მათი კანდიდატებისა, აგრეთვე სამრევლოს მოლარისა; ბ) ეკლესიისა და კრებულის შენახვისათვის ზრუნვა; გ) სამართალში მიცემა სამრევლო საბჭოს წევრებისა სამსახურის აღსრულების დროს უფლების აღმატებისა და ბოროტმოქმედებისათვის; დ) აღძრვა საქმისა საეპარქიო სასამართლოს წინაშე კრებულის წევრთა შესახებ, მათი უთანადო მოქმედებისა და ცუდი ყოფაქცევისათვის; ე) ზრუნვა ეკლესიის განვევნებისა და კეთილმოწყობისათვის; ვ) ზრუნვა სამრევლოს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სრულყოფისა და მის საგანმანათლებლო-საქველმოქმედო დაწესებულებათათვის; ზ) ზრუნვა საკრებულო სახლისა და სასაფლაოსათვის; გ) დანიშვნვა სარევიზიო კომისიის წევრებისა სამრევლო საბჭოს მოქმედებისა და ანგარიშის განსახილველად; თ) არსებულ სამრევლოს გაყოფის შესახებ შუამდგომლობის აღძრვა; ი) შუამდგომლობის აღძრვა უძრავ-მოძრავი ქონების შეძენისა და განთვისების შესახებ; ია) აღება ისეთის სესხისა, რომელიც სამრევლოს თვიურ შემოსავალს აღემატება; იბ) შუამდგომლობის აღძრვა ტაძრის კაპიტალურად გადაკეთების შესახებ, როცა ტრაპეზის აშლაა საჭირო.

§ 50. სამრევლო კრების აღმასრულებელი ორგანო არის სამრევლო საბჭო, რომელიც შესდგება კრებულის ყველა წევრთა და არა უმცირეს ექვსისა და არა უმეტეს თორმეტის წევრისა, რომელთაც ირჩევს სამრევლო კრება სამის წლის ვადით. სამრევლო საბჭოს თავმჯდომარეობს ეკლესიის წინამდგარი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭო თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს თვის შორის. საბჭოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშირადაც. საქმეები სწყდება უბრალო ხმის უმეტესო-



ბით, ხოლო, როცა ხმები თანაბრად იყოფა, მაშინ ისახობის უპირატესობს, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა.

შენიშვნა 1. თუ სამრევლო კრებისა და საბჭოს განჩინება ეკლესიის წინამდღვარს მიაჩინია საქმის საზიანოდ, მას შეუძლია განჩინების სისრულეში მოყვანის შეჩერება და მისი ადგილობრივ მღვდელთმთავართან განსასაჩინოება,—ამის შესახებ თავის აზრი წინამდღვარმა უნდა გამოსთვევს კრებაზედვე.

შენიშვნა 2. საბჭოს წევრად ირჩევა როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი.

შენიშვნა 3. საბჭოს წევრად არ შეძლება არჩეული იქმნას სამღვდელო ხარისხითვან განდგომილი, ან განკვეთილი.

ს 51. სამრევლო საბჭოს კომპეტენცია არის: ა) ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონების მართვა-გამგეობა; ბ) ყოველგვარი სტატისტიკური ცნობების შეკრება, რასაც კი სამრევლოს მართვა-გამგეობისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა; გ) აკრეფა საეკლესიო გადასახადისა მრევლში და მისი დანიშნულებისამებრ მოხმარება; დ) ზრუნვა ეკლესიისა და კრებულის შესანახ საშუალებათა გასაძლიერებელად; ე) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილ-მოწყობისათვის; ვ) ზრუნვა ქვრივობოლობათა და გაცირკებულთათვის ქველმოქმედების წესით; ზ) აღძრვა საქმისა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მორწმუნეთა სარწმუნოებრივს გრძნობას შელახვნ; ც) წინასწარი დამუშავება იმ საკითხებისა, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს; თ) გამგეობა სამრევლო სასაფლაოსი; ი) სამრევლო ქონებისა და თანხების ყოველთვიური შემოწმება; ია) თავისი მოქმედების წლიური ანგარიშის შედგენა მთავარხუცესისა და სამრევლო კრებისათვის წარსადგენად.

შენიშვნა 1. სამრევლო საბჭოს აუცილებელი წევრია სამრევლოს მოჟარე, რომელიც აწარმოებს წმინდა სანთლის ოპერაციას, იღებს სამრევლო თანხებს და ინახავს საკრედიტო დაწესებულებებში, აწარმოებს შემოსავალ-გასავლის წიგნსა და ადგენს სამრევლოს შემოსავალ-გასავლის წლიურ ანგარიშს. მოლარეს ირჩევს სამრევლო კრება სამის წლის ვადით.

შენიშვნა 2. სამრევლოს მოლარედ უნდა არჩეულ იქმნას უძველად მამა-ქაცი და მასთანვე წერა-კითხვეს მცოდნე.

§ 52. კრებული. კრებულის აუცილებელ წევრად ითვლებიან მღვდელი და წიგნისმცითხველი, ხოლო, სადაც შეიძლება, იქ სამრევლოს დიაკონიცა (მთავარი) ჰყავს.

შენიშვნა 1. დიაკონი და წიგნისმცითხველი არიან მხოლოდ თანამსახურნი მღვდლისა და უიმისოდ არავითარი ღვდელმოქმედების შესრულება არ შეუძლიანთ სამრევლოში.

შენიშვნა 2. ეროსა და იმავე სამრევლოში ორი მღვდლის ყოფნა სასურველი არ არის, მაგრამ, თუ ამას მოითხოვს სამრევლოს სიღიდე და აუცილებელი საჭიროება, სამრევლოს შეუძლია თავის წინამდგვარს თანაშემწედ მეორე მღვდელი მისცეს.

§ 53. არჩევნები კრებულის წევრთა ხდება შემდეგი წესით: ა) როცა რომელსამე სამრევლოში განთავისუფლდება კრებულის წევრის ადგილი, პირნი, რომელთაც სურთ დაიჭირონ ეს ადგილი, ერთის თვის განმავლობაში მის განთავისუფლებითან, წარგზავნიან თხოვნებს საეპარქიო მთავრობასთან ყველა საჭირო მოწმობათა დართვით; ბ) საეპარქიო მთავრობა პკრებს ცნობებს ყველა იმ პირთა შესახებ, რომელთაც შეიტანეს თხოვნა და აქვს მსჯელობა წარმოდგენილ კანდიდატებზე; გ) მღვდელთმთავრის მიერ ღირსეულ კანდიდატებად ცნობილ პირთა სია, ყველა ცნობების დართვით თვითულ კანდიდატზე, წარეგზავნება სამრევლო საბჭოს კენჭის საყრელად სამრევლო კრებაზე; დ) სამრევლო კრება მოიწვევა არა უგვიანეს ორის კვირისა კანდიდატთა სიის მიღებითან. დრო სამრევლო კრების დანიშნვისა ეცნობება საოლქოს მთავარებულებებს, რომელიც ან პირადად ესწრება კრებას, ან წარგზავნის თავის წარმომადგენელს; ე) არჩევნები ხდება ფარულის ხმის მიცემით; გ) თვითულ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე; ზ) არჩევნების დასრულებისას სდგება აქტი, შესაფერი დამოწმებით; ც) ეპარქიის მღვდელთმთავარი ამტკი-

ცებს იმ კანდიდატს, რომელმაც მიიღო ხმების უმეტესობა, მაგრამ არა უმცირეს დამსტრეტი ნახევრისა.

შენიშვნა: იმ პირის სახელი, რომელიც იყადრებს სამრევლოში აგიტაციის გაწევას, მოხსნილი იქმნება კანდიდატთა სიითვან.

§ 54. სამრევლო, რომელიც ორის თვის განმავლობაში დღითვან კანდიდატთა სიის მიღებისა არ აირჩივს კრებულის თავისუფალ ადგილზე კანდიდატს, ჰკარგავს საარჩევნო უფლებას, და იმ ადგილზე კრებულის წევრი დაინიშნება საეპარქიო მთავრობის მიერ.

§ 55. თუ სამრევლოს სურს, რომ გახსნილ ვაკანსიაზე კრებულის წევრი დანიშნოს საეპარქიო მთავრობამ, ამის თაობაზე სამრევლოს დადგენილება ეცნობება ეპარქიის მღვდელთ-მთავარს ერთის თვის განმავლობაში დღითვან ვაკანსის გახსნისა.

შენიშვნა: თუ სამრევლო არავინ ითხოვა, კრებულის წევრი ინიშნება ეპარქიის მღვდელთმთავრის მიერ.

§ 56. მღვდელი. მღვდელი ვალდებულია: ა) მუდამ თავის მრევლში სცხოვრობდეს და სამრევლო არ დასტოვოს, განსაკუთრებით როცა იქ რაიმე მოარული სენი გაჩნდება და როცა სამრევლოს განსაცდელი რამ მოელის; ბ) განსაკუთრებულ თვალყურს იდევნებდეს საკუთარს ყოფაქცევას, როგორც საზოგადოებაში, ისე თავის სახლში; გ) აასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურება დაწესებულ დროს; დ) მრევლის მოთხოვნილებისამებრ აასრულოს საჭირო მღვდელმოქმედება; ე) თვალყური ადევნოს ტაძრისა და საღვთისმსახურო საგნების სისუფთავესა და კეთილშევნიერებას; ვ) თვალყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისკიპლინისა და ზნეობის დაცვას; ზ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ ეჭვი დაბიდება, მოვალეა ახსნა-განმარტებისათვის მთავარხუცესს და საეპარქიო მთავრობას მიპართოს; ც) მის უპირველეს მოვალეობას შეადგენს ეკლესიაში ქადაგება და საზოგადოდ სწავლა-მოძღვრება; თ) მღვდელი მოვალეა ღვთისმსახურების დროს

კათოლიკოზისა და თავის ეპისკოპოზის სახელი მოიხსენიოს;
ი) აგრეთვე მოვალეა კრებულის სხვა წევრთა საშუალებით
საეკლესიო საბუთები აწარმოვას; ია) თავის სამრევლოში
მღვდელს უფლება აქვს სხვა მღვდელს მღვდელმოქმედების
შესრულების ნება არ მისცეს.

§ 57. სამღვდელო და სადიაკვნო კანდიდატი უნდა
იყოს კანონიურად სრულწლოვანი, ხოლო წიგნისმკითხვე-
ლად შეიძლება უფრო ახალგაზრდაც აირჩის. ფიზიკურად
სამღვდელო და სადიაკვნო კანდიდატი უნდა აკმაყოფილებ-
დეს საეკლესიო კანონების მოთხოვნილებას. სამღვდელო კან-
დიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული საშუალო საზოგადო გა-
ნათლება და ყოველ შემთხვევაში არა უმცირეს სრული პრო-
გნინაზიული განათლებისა. ამავე მოთხოვნილებას უნდა აქმა-
ყოფილებდენ, შეძლებისდაგვარად, სადიაკვნო კანდიდატები
და წიგნისმკითხველნიც, რომელთაც უნდა იცოდენ ღვთის-
მსახურების წესები და საეკლესიო საბუთების წარმოება, რაც
წინდაწინვე (არჩევამდე) უნდა იყოს შემოწმებული რომლი-
სამე საეპარქიო მთავრობისაგან.

შენიშვნა: წიგნისმკითხველად შეიძლება არჩეულ
იქმნას მხოლოდ მამაკაცი.

სამართლის სამართლალი

§ 58. საქართველოს ეკლესიის სამართლის ექვემდებარება ამა ეკლესიის ყველა წევრი ისეთ საქმეებში საეკლესიო სწავლა-მოძღვრებისა, ზნეობრივ ცხოვრებისა, საეკლესიო წყობილებისა და საეკლესიო სამსახურის წინააღმდეგ, რომელთათვისაც საეკლესიო კანონით დადგენილია განსაზღრული სასჯელი ინუ ზომები ზღვევისა და გასწორებისა.

§ 59. საეკლესიო სამართლი ეპარქიაში განცალკავებულია საეკლესიო მართვა-გამგეობისაგან და შესღება საეპარქიო სასამართლოსაგან.

§ 60. განსაკუთრებული ინსტიტუტი საქმის გამომძიებელისა არ არსებობს, არამედ სასამართლო თვითონ ირჩევს გამომძიებელს. თვითეულ შემთხვევაში. არ არსებობს არც ბრალმდებელის თანამდებობა, არამედ სასამართლოს ერთ-ერთ წევრს მიენდობა საპრალმდებლო ოქმის შედგენა და მოხსენება; ეს წევრი შემდეგ მონაწილეობას აღარ იღებს განჩინების გამოტანაში.

შენი შნვა 1. ბრალდებულს ნება აქვს სასამართლოში დამცველი (ვექილი) დაიხმაროს, მაგრამ თვით სასამართლოს-თან დამცველის ინსტიტუტი არ არსებობს.

შენი შნვა 2. მხარეები გამოიწვევიან საგანგებო უწყებებით, რომლებიც ეგზავნება მათ აღვილობრივ (საღაც სცხოვ-რობენ) და უნდა ჩაბარდეს არა უგვიანეს ერთის კვირისა სხდომისათვის დანიშნულ დღეზე. უწყებაში ნაჩვენები უნდა იყვეს სასამართლოს მისამართიც.

§ 61. საეკლესიო სასამართლო დახურული არ არის, საქმის გარჩევას გარეშენიც ესწრებიან. განჩინებას სასამართლოს წევრები დაადგენენ თავისი შინაგანის დარწმუნების თა-

ნახმად, მხოლოდ მას შემდეგ, როცა შემოწმებული იქმნება სასამართლოში წარმოდგენილი საბუთები.

§ 62. ყოველი საქმე არსებითად გადაწყდება ორს ინსტანციაში და მესამე ინსტანცია იქმნება საკასაციო; პერიოდიული საექლესიო კრების განჩინებანი კი საბოლოვოა, თუნდაც იქ საქმე პირველის ინსტანციით წყდებოდეს.

ს ა ე პ ა რ ქ ი ო ს ა ს ა მ ა რ თ ლ ი

§ 63. საეპარქიო სასამართლო შესდგება 5 წევრისაგან, რომელთაც ირჩევს საეპარქიო კრება სამის წლის ვადით.

შენიშვნა 1. თავმჯდომარე უეპველად სამღვდელო პირი უნდა იყვნეს; დანარჩენ წევრთა და კანდიდატთა ნახევარი სამღვდელო პირნი უნდა იყვნენ. თავმჯდომარე აღირჩევის სასამართლოს წევრთა მიერ თვის შორის.

შენიშვნა 2. სასამართლოს წევრებად არ შეიძლება არჩეულ იქმნან მღვდლის ხარისხითგან განდგომილნი, ან განკვეთილნი და არც ისეთი პირნი, რომელთაც სასამართლოს მიერ შეზღუდული ან ჩამორთმეული აქვთ საზოგადო კრებაზე დასწრების უფლება, ან არ ზიარებულან უკანასკნელის სამის წლის განმავლობაში ერთხელ მაინც.

შენიშვნა 3. სასამართლოსაგან გასული წევრი შეიძლება ხელმეორედ არჩეულ იქმნას. სასამართლოს წევრებთან ერთად საეპარქიო კრება ირჩევს მათ კანდიდატებსაც.

§ 64. საეპარქიო სასამართლოს ეკვემდებარებიან ა) დანაშაულობანი, რომელთათვისაც საექლესიო კანონით დადგენილია უძინებელი ზომები: მღვდელმოქმედების შესრულების აღკრძალვა, სამსახურისაგან გადაყენება;

ბ) განქორწინების საქმე.



§ 65. სასამართლოს განჩინება წარედგინება ეპარქიული მღვდელმთავარს, რომელზედაც დამოკიდებულია მისი დამტკიცება.

შენიშვნა. საეპარქიო სასასამართლოს განჩინებით უკმაყოფილოთ შეუძლიანთ განასახიერონ საქმე საკათალიკოზო საბჭოში.

უზენაესი საეკლესიო სამართალი

§ 66. მუდმივ კრებას, ანუ საკათოლიკოზო საბჭოს შეუძლია ზოგიერთი საქმე, სამოლოო მსჯავრის დასაღასტურებელად, გამონაკლისის სახედ, წარუდგინოს პერიოდიულ საეკლესიო კრებას.

§ 67. კათოლიკოზ-პატრიარქის გასამართლება შედის პერიოდიული საეკლესიო კრების კომპეტენციაში.

§ 68. საკათოლიკოზო საბჭოს განჩინებით უკმაყოფილოს შეუძლია გადაიტანოს კასაციის წესით საქმე პერიოდიულ საეკლესიო კრებაში.

შენიშვნა. განქორწინების საქმეებს საბოლოოდ სწყვეტს მუდმივი კრება—საკათოლიკოზო საბჭო.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ეკლესიისა

ქთრ წ ი ნ ე ბ ი ს ა თ გ ი ს.

დამტკიცებულია სრულიად საქართველოს სეკლესიო.

კერძის 1920 წ. ივლისის 8 განჩინებით.

§ 1. საქართველოს ეკლესიის წევრი, რომელსაც და-
ქორწინება სურს, ვალდებულია შეისრულოს „წესი ჯვარის
წერისა“.

შენიშვნა. ქორწინება მართლმადიდებელის ქრისტეა-
ნისა არა-მართლმადიდებელთან უნდა შესრულებულ იქმნას
მართლმადიდებლობითი აღსარების წესით.

§ 2. ქორწინების უფლება აქვს სასიძოს ჩვილმეტი წლი-
თვან, ხოლო სასძლოს თხუთმეტი წლითვან. სასძლო-სასიძოს
წლოვანობა და პიროვნება დადასტურებული უნდა იყვეს
უმთავრესად მოძღვრის მიერ მიცემული მოწმობით.

შენიშვნა. როდესაც ამას აუცილებელი საჭიროება
მოითხოვს, ეპარქიის მღვდელთმთავარს შეუძლია ქორწინების
ნება დართოს, თუ სასიძოს ჩვილმეტი წლამდე, ხოლო სასძლოს
თხუთმეტამდე ნახევარ წელიწადზე მეტი არ უკლიათ.

§ 3. ქორწინებისათვის საჭიროა სასძლო-სასიძოს თანხ-
მობა და ნებაყოფლობა, რაც მათ უნდა გამოაცხადონ ჯვარის
წერის დროს ეკლესიის კრებულისა და, თუ მეტისა არა, ორ
სრულწლოვან მოწმეთა წინაშე, რომელთაგან ერთი სასიძოს
მხრივ იქმნება და ერთი სასძლოს მხრივ.

შენიშვნა. სასძლო-სასიძომ, მოწმეებმა და ეკლესიის
კრებულმა ეს თანხმობა უნდა დაადასტურონ საკუთარის ხელის
მოწერით სათანადო საეკლესიო საბუთში.



§ 4. თუ სასტატიკულო-სასიძოს მოქალაქობრივ სრულდებულობის განობამდე (20 წლამდე) უხდებათ ქორწინება, მათთვის სავალდებულოა დედ-მამის, ანუ მზრუნველების წერილობითი ნებართვა.

§ 5. ჯვარის წერა აღკრძალულია ყველიერში, დიდს, მარიამობისთვის, ქრისტეშობისთვის და პეტრე-პავლობის მარხვებში, მარიამობისთვის 28—29-ს, ენკენისთვის 13—14-ს შობა-ნათლისლებისა და აღდგომა-ახალკვირის შუა დღეებში.

§ 6. წესი ჯვარის წერისა უნდა შესრულებულ იქმნას ტაძარში.

§ 7. ქორწინებას დააყენებს: ა) სისხლითი ნათესაობა პირდაპირი—ყველა ხარისხში, არაპირდაპირი—ექვს ხარისხში, ბ) თვისობა პირველი—ოთხ ხარისხში, მეორე—სამ ხარისხში გ) ნათელ-მირონობა—ოთხ ხარისხში.

§ 8. ქორწინება აღეკრძალებათ ა) განუქორწინებელ მეუღლეთ, ბ) იერარქიულ პირთ და გ) სამჯერ ქორწინებულთ.

განმარტება მეშვიდე პარაგრაფისა

პირდაპირი სისხლითი ნათესაობა ისეთი ნათესაობაა, რომელიც შშობელთა და მათ პირდაპირ შთამომავლობათა შორის არსებობს, მაგალითად: მე და ჩემი შთამომავლობა, ანუ მე და ჩემი წინაპარნი.

არაპირდაპირი სისხლითი ნათესაობა ისეთი ნათესაობაა—რომელიც და-ძმითა და მათ შთამომავლობათა შორის არსე, ბობს. მაგალითად: მე, ან ჩემი შთამომავლობა, ერთის მხრით, და ჩემი და-ძმა, ან მათი შთამომავლობა, მეორის მხრით.

პირველი თვისობა ისეთი ნათესაობაა, რომელსაც ამყარებს, ერთი ქორწინება ორ სხვა-და-სხვა გვარეულობათა შორის, მაგალითად: მე და ჩემი მეუღლის სისხლითი ნათესავები, აგრეთვე ჩემი მეუღლე და ჩემი სისხლითი ნათესავები.

მეორე თვისობა ისეთი ნათესაობაა, რომელსაც ამყარებს ორი ქორწინება სამ სხვა-და-სხვა გვარეულობათა შორის, მა-

გალითად: ჩემი სიძე (დის ქმარი) და ჩემი მეუღლე; ჰელი ქორწინებაა: 1) ჩემი და ჩემი მეუღლის, 2) ჩემი დის და მისი მეუღლის, გვარეულობა კი საში: 1) ჩემი მეუღლის, 2) ჩემი და ჩემი დის და 3) ჩემი სიძის.

სარისხად იგულისხმება დაბადება ერთი ადამიანისა მეორი-საგან, მაშასადმე იმდენი ხარისხია, რამდენიც დაბადებაა. ცოლი და ქმარი ცალკე ხარისხს არ შეადგენენ, ამიტომ ჩემი მეუღლის ნათესავები ჩემთან იმავე ხარისხში ითვლებიან, რო-მელშიაც იმასთან. მშობელთა და შვილთა შორის ერთი და-ბადებაა, მაშ ხარისხიც ერთია; და-ძმათა შორის ორი დაბა-დებაა (ძმა და მშობლები, და და იგივე მშობლები) და ხა-რისხიც ამიტომ ორია. გერი (პირველი თვისობის ნათესაობაა) მამინაცვალ-დელინაცვალთან იმავე ხარისხში ითვლება, რო-მელშიაც—შვილი თავის მშობლებთან, ხოლო მათ ნამდვილ შვილებთან,—როგორც ნამდვილ და-ძმასთან.

ჩ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ეკლესიისა

გ ა ნ ქ თ რ წ ი ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს.

დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ხელისიოდ
კრების 1920 წ. ივლისის 3 განჩინებით.

ცოლ-ქმრობა, ქორწინების საიდუმლოთი განმტკიცებუ-
ლი, მართლმადიდებელი ქრისტეანეს მიერ დაცულ უნდა
იქმნას დაურღვეველად; ცოლ-ქმარი, თავის მხვედრის ღვთის
მორჩილებით მიმღებნი, ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ
ქრისტე-მაცხოვრის ბრძანებით, — „რომელნი იყი ღმერთმან
შეაუღლნა, კაცი ნუ გაშორებნ“ (მატ. 19, 6).

წმიდა ეკლესია, რომლის მიზანია კაცთა ცხოველების, ცოლ-ქმართან განშორებას იწყნარებს მხოლოდ თვის შვილთა სიბრალულისა გამო, აუტანელ ტენჯვა-მწუხარების შესამსუბუქებელიდ და მოსალოდნელ დანაშაულობათა თავითგან ას-ცდენად.

ს 1. განქორწინების კმასაყოფელ მიზეზად ითვლება

ა) ერთ-ერთ მეუღლის მიერ მართლმადიდებლობითი აღსარებითგან გადადგომა, ანუ სჯულის სრულიად მიტოვება,

ბ) მრუშობა,

გ) არაბუნებრივი სქესობრივი მიღრეკილება,

დ) მეუღლის მრუშობისათვის იძულება,

ე) მეუღლისა ანუ შვილების მოკლვის განზრახვა, ან ფიზიკური მათი წამება,

ვ) შვილოსნობის წინააღმდეგ ზომების მიღება,

ზ) საჭურისობა ნებსითი, ანუ უბედური შემთხვევისა გამო,

(კ) განუკურნებელი ცველანობა (აქ არ იგულისხმება მოხუცებულობის ულონობა),

თ) ათაშანგი (სიფილისი),

ი) კეთრი,

ია) განუკურნებელი სიგიჟე,

იბ) იდიოტიზმი,

იგ) ერთ-ერთ მეუღლის მიერ ყველა სამოქალაქო უფლებათა დაკარგვა,

იღ) განქორწინებამდის სხვა პირთან ქორწინება,

იე) დაშინებით, ძალდატანებით და მოტყუილებით ჯვარის წერა,

ივ) ერთ-ერთ მეუღლის უკვალოდ ორი წლის განმავლობაში დაკარგვა,

და ის) ცოლ-ქმართა მიერ ორის წლის განმავლობაში ურთიერთის განზრახ თავის დანებება.



შენიშვნა: ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, განქორწინებულ
შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ საფუძველზე
პროცესს აღძრავს მეორე მხარე.

§ 2. საქმე მრუშობის გამო განქორწინებისათვის შეიძლება აღიძრას არა უგვიანეს ორის წლისა ქორწინების სიწმიდის შეგინების გაგების შემდეგ იმ მეუღლის მიერ, რომელიც განქორწინებას ითხოვს. თუ ქორწინების სიწმიდე შეგინებულია მეუღლის განუწყვეტელი მრუშობრივი კავშირით, საქმის აღძრვა შეიძლება მუდამ, ვიდრე არსებობს ხსენებული კავშირი და აგრეთვე ორის წლის განმავლობაში კავშირის შეწყვეტითგან. მაგრამ საქმის აღძრვა განქორწინებისათვის არ შეიძლება, თუ კი მრუშობის შემდეგ, ანუ მრუშობრივი კავშირის შეწყვეტითგან გასული არის ხუთი წელიწადი.

§ 3. ორთავე მეუღლის მრუშობა არ არის დამაბრკოლებელი მიზეზი საქმის აღძრვისა თვითეული მხარის მიერ მათი განქორწინებისათვის.

§ 4. ერთ-ერთ მეუღლის მიერ ყველა სამოქალაქო უფლებათა დაკარგვა არ არის კმასაყოფელი მიზეზი განქორწინებისათვის, თუ კი ცოლ-ქმარნი ერთად სცხოვრობდენ დასჯილი მეუღლის სასჯელისაგან განთავისუფლების შემდეგ.

§ 5. თუ რომელიმე მეუღლე დაიკარგა უკვალოდ, მისი ომში მონაწილობის დროს, ან თუ მეუღლის დაკარგვა გამოწვეულია სამოარი მდგომარეობით, განჩინება განქორწინებისათვის სასამართლომ უნდა გამოიტანოს ომის დასრულებითგან ერთის წლის შემდეგ.

§ 6. უდანაშაულოდ ცნობილ განქორწინებულთ უფლება აქვთ ახალი ქორწინებისა საქმის დამთავრების შემდეგ.

§ 7. ასეთივე უფლება აქვთ დანაშაულიდ ცნობილთაც, მაგრამ მათ უნდა მოიხადონ სასამართლოს მიერ მისჯილი საკანონო ახალ ქორწინებაში.

შენიშვნა 1. მრუშობისათვის განქორწინებულთ შესტადიუმის ლიანთ ახლად იქორწინონ განქორწინებითგან სამი თვის განმავლობაში, მხოლოდ მღვდელთმთავრის ნებართვით.

შენიშვნა 2. ახლად ქორწინება აღეკრძალებათ განქორწინებულთ კეთრის, ათაშანგის, სიგიეის, იდიოტიზმის, ცვედანობის და საჭურისობის მიზეზით.

§ 8. განქორწინების საქმეს აწარმოებს საეპარქიო სასამართლო.

§ 9. ზემოჩამოთვლილი მიზეზები (§ 1) საეპარქიო სასამართლოს თხოვნით, თუ ის ამას საჭიროდ სცნობს, გამოძიებულ-დადასტურებული უნდა იყვეს შესაფერ სამჯავრო, სააღმინისტრაციო ანუ სამკურნალო დაწესებულებათა მიერ.

§ 10. საეპარქიო სასამართლოს განჩინებით უკმაყოფილო მხარეს შეუძლია, არაუგვიანეს ერთის თვისა, ითხოვოს საქასაციო წესით საქმის გადასინჯვა საკათოლიკოზო საბჭოში.

დ ე პ უ ლ ე ბ ა

სამმო შემოსავლისათვის.

(1917 წლ. საეკლესიო კრების ენკენისთვის 16 განჩინების მიზედვით გამომუშავებული საკათოლიკოზო საბჭოს მიერ (1919 წლ. უურნალი № 31) და 1920 წლ. საეკლესიო კრებისაგან ივლისის 6 დადასტურებული)

§ 1. სამმო შიმოსავლად ითვლება ა) ის ფული, რომელსაც კრებულის წევრნი იღებენ თავიანთ სამრევლოში ყოველგვარ მღვდელმოქმედების შესრულებისა და საეკლესიო დოკუმენტების გაცემისათვის; ბ) დრამა, რომელსაც ისინი ღებულობენ ფულად გინდ ნატურით; გ) კრებულის წევრთა სასარგებლოდ შეწირულ უძრავ-მოძრავ ქონების შემოსავალი

და ამ მიზნითვე შემოწირულ ხელუხლებელ თანხების პაკონტრინი.

შენიშვნა 1. კრებულის წევრთა შორის, როგორც საძმო შემოსავალი, ვერ გაიყოფება ვერც ის ჯამაგირი, რომელსაც ისინი იღებენ ხაზინითაგნ, ვერც ის შემოსავალი, რომელსაც ისინი შოულობენ კრებულის წევრთა მოვალეობის, ფარგლებ გარეშე, და ვერც ბინა, რომელიც მათ მიჩნეული აქვთ სამრევლოსაგან.

შენიშვნა 2. თვითეულს კრებულს უდია ყულაბი, რომელშიაც უნდა შედიოდეს ყოველგვარი ფულად შემოსავალი, სხვათა შორის სადავითნო და სააღსარებო-საზიარებელიც.

შ 2. თუ სამრევლოში რამდენიმე მღვდელია, მიუხედავად მათი ხარისხის (დეკანოზი და არადეკანოზი) და თანამდებობისა (წინამდგვარი და მისი თანაშემწე), ისინი თანასწორ ნიშილს იღებენ საძმო შემოსავლითგან; თანასწორ ნაწილს იღებენ ერთმანეთში დიაკონი და აგრეთვე წიგნის მკითხველნი.

შენიშვნა ა: ეს მუხლი სავალდებულოა იმ საკათედრო ტაძრებისათვისაც, რომელთაც მრევლი ჰყავთ.

შ 3. სადაც კრებული ორი წევრისაგან შესდგება (მღვდელი და წიგნისმკითხველი), მღვდელი იღებს შემოსავლის სამ ნაწილს, ხოლო წიგნისმკითხველი ორს, მრავალრიცხვან კრებულში (მაგალითად: მღვდელი, დიაკონი და წიგნის მკითხველი; ორი მღვდელი და ორი წიგნისმკითხველი; ორი მღვდელი, დიაკონი და ორი წიგნისმკითხველი და სხვა), თვითეული მღვდელი იღებს ექვს ნაწილს შემოსავლისას, თვითეული დიაკონი ხუთ ნაწილს, ხოლო თვითეული წიგნის მკითხველი ოთხ ნაწილს.

შენიშვნა 1. საკრებულო ტაძრებში პროტოდიაკონნი იღებენ მღვდელთა თანაბრად ექვს ნაწილს.

შენიშვნა 2. თუ რომელსამე სამრევლოში მღვდელს დიაკონის, ან წიგნისმკითხველის ადგილი უკავია, გინა თუ დიაკონს—წიგნისმკითხველის, ისინი ნაწილს იღებენ არა ხარისხის, არამედ თანამდებობის მიხედვით.

§ 4. კრებულის წევრი, რომელიც პირდაპირის უფრო-
 სის ნებაღაუროველიად სადმე წავა და ამის ან, და სხვა არა-
 კმასაყოფელ მიზეზის გამო მრევლის სამსახურს დაკლდება
 ჰკარგავს წილს იმ შემოსავლითგან, რომელიც აღებულ იქმნა
 მის დაუსწრებელად.

დ ე პ უ ლ ე ნ ა

ჭაღღდოების შესახებ.

(დამტკიცებულია, თანახმად 1917 წლის საეკლესიო კრების ენკენის-
 თვის 15 დადგენილებისა, სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო
 საბჭოს 1919 წლის იანვრის 30 № 54 განჩინებით).

1) საქართველოს ეკლესიის პრაქტიკაში უარყოფილ იქ-
 მნას ყოველგვარი ჯილდო სამღვდელო პირთაოვის, როგორც
 სამოქალაქო, ისე სასულიერო;

2) უარყოფილ იქმნას ხარისხი არქიმანდრიტობისა; ეს
 ტიტოლ მიენიჭოს ცნობილ მონასტრების, მღვდელმონაზ-
 ნობის ხარისხით მოსილ იღუმენს, რომელსაც არც წესი
 შეუსრულდება არქიმანდრიტიდ დადგინებისა, არც კვერთხი
 ექმნება არქიმანდრიტობისა, არც არქიმანდრიტის ჯვარი,
 არც მიტრა, და არც ენქერი; საარქიმანდრიტო მონასტრებიდ
 მიჩნეულ იქმნას გელათი, მარტვილი, ქვაბთახევი, შუამთა,
 დავითგარეჯა, შიომღვიმე და მოწამეთა;

3) დარჩეს დეკანოზობის ხარისხი და მიენიჭოს ის საკა-
 თედრო ტაძრების წინამძღვარს და უზენაესის საეკლესიო
 მართვა-გამგეობის ორგანოს (საკათოლიკოზო საბჭოს) წევრთ—
 მღვდლებს.

4) უარყოფილ იქმნას ბედენიკი და დარჩეს ენქერი, რო-
 მელიც მიეცემა მხოლოდ დეკანოზად დადგინებულს, რო-
 გორც ამ ხარისხის ინსიგნია;

5) უარყოფილი იქმნას სკუფია და დარჩეს კამილავეა, რომელსაც მიიღებს თვითეული მღვდელი ხელდასხმისას, ღვთის მსახურების დროს დასახურავად;

6) აღეკრძალოს მიტრის ტარება ყველა სამღვდელო პირს, გარდა ეპისკოპოზისა;

7) დარჩეს ხმარებაში მკერდის ჯვარი, რომელიც მიეცემა თვითეულ მღვდელს ხელდასხმისას; ჯვარი ძეწკვითურთ უნდა იყოს ყვითელი ლითონისა ან ოქროს წყალში დაფერილი, ბიზანტიური ფორმისა და ზედწარწერით: „სახე ექმენ მორწმუნეთა მათ სიტყვითა, სლვითა, სიყვარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“ (1 ტიმ. 4, 12).

ინსტრუქცია

სამრევლო კრებულთათვის, ხადაც ორი ანუ შეტი მღვდელია.
(საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის 52 მუხლის მეორე შენიშვნის განმარტება).

(დამტკიცებულია საკათოლიკოზო საბჭოს 1918 წლის ოქტომბრის 24 № 851
განჩინებით)

§ 1.

სამრევლოებში, სადაც წინამდვირს ჰყავს თანაშემწე, ანუ თანაშემწეები, ყოველსავე განკარგულებას სამრევლოს ანუ ეკლესიისათვის წინამდვირი მოახდენს.

§ 2.

კვირა-უქმე დღეებში კრებულის ყველა წევრი მოვალეა, მიიღოს მონაწილეობა როგორც წირვა-ლოცვაში, ისე წესების შესრულებაში.

§ 3.

კვირა-უქმე დღეებში კრებულის რომლისამე წევრის განთავისუფლება წირვა-ლოცვისა, ანუ წესების შესრულებისაგან დამოკიდებულია წინამდვირზედ.

§ 4.

სადაგ დღეებში წინამძღვარი, საჭიროების მიხედვით, გაანაწილებს მორიგეობას მღვდელთა, დიაკონთა და წიგნ, მკითხველთა.

შენიშვნა. მორიგეობას წინამძღვარი მოიხდის სხვა მღვდლებთან თანაბრად.

§ 5.

მორიგე კრებულის წევრთ, თუ საჭიროება მოითხოვს, შველიან შემდეგი რიგის წევრი, წინამძღვრის განკარგულებით.

§ 6.

მორიგეობის დროს გამონაცვლება, ანუ სხვა მღვდლის მოწვევა, შეიძლება მხოლოდ წანამძღვრის დასტურით.

§ 7.

რიგისაგან თავისუფალი კრებულის წევრი შეიძლება გავიდეს სამრევლოთვან მხოლოდ წინამძღვრის ნებართვით.

8.

მოძღვრება-ქადაგების წეს-რიგს განაგებს წინამძღვარი.

§ 9.

წინამძღვარი, თუ საჭიროდ დაინახავს, წირავს და ჰქა-
დაგებს სხვა მღვდლის მორიგეობის დროს.

შენიშვნა: ამ გვარ შემთხვევაში წინამძღვარი მოვა-
ლეა წინადღითვე მიაწოდოს რიგის მღვდელს შესაფერის
ცნობა.

§ 10.

შესამოსლისა და ჭურჭელთა ხმარების განკარგულებას
მხოლოდ წინამძღვარი მოახდენს.

§ 11.

წირვა-ლოცვის დაწყების დრო განისაზღვრება წინამძღვრის
მიერ.

§ 12

წინამძღვრისავეგან კარგულების ქვეშე იმყოფებიან მგა-
ლობელთა გუნდი და ეკლესიის მოსამსახურენი.

803.

26/436

ଓଡ଼ିଶୋ-75 ପାନେତାଳୀ.



ଓଡ଼ିଶା ସାହିତ୍ୟ ଏକାଡେମୀ

